ოქმი N5

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი **2017 წლის 27 თებერვალი**

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 28 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგის გაცნობამდე, სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი კოლეგა, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ჯემალ ნადარაია და მწუხარება გამოთქვა მისი გარდაცვალების გამო, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას წუთიერი დუმილით პატივი მიაგოთ მისი ხსოვნისთვის.

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების შედეგების შესახებ“ ანგარიშის მოსმენა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის
საფინანსო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

5. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 მარტის N19 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

7. სხვადასხვა.

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0
(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. შონია, მ. ყურუა)
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების შედეგების შესახებ“ ანგარიშის მოსმენა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის
საფინანსო სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების შედეგების შესახებ ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მას ადგილობრივი ბიუჯეტი ასეთი მაღალი პროცენტით შესრულებულიყოს მას არ ახსოვს და იმედი გამოთქვა, რომ 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულება უკეთესი იქნება.

ე. ჯობავა, ტ. ალექსანდრია - გამომსვლელებმა მადლობა გადაუხადეს გამგეობის საფინანსო სამსახურს, გაწეული მუშაობისათვის, ასევე აღნიშნეს, რომ რა თქმა უნდა იყო მცირეოდენი ხარვეზები, რომელიც გამოსწორებადია, მათაც იმედი გამოთქვეს, რომ 2017 წელს ბიუჯეტის შესრულების კუთხით უკეთესი მდგომარეობა იქნება.

ე. წურწუმია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ბიუჯეტის შესრულება კარგია, მაგრამ შესრულებულ ინფრასტრუქტურულ პროექტების ხარისხზე ვინ აგებდა პასუხს, რადგანაც ახალ გადახურულ კულტურის სახლს რამოდენიმე ადგილზე აწვიმდა, ხოლო ხობის N1 საბავშვო ბაღის ჩაბარება ისე განხორციელდა, რომ სამუშაოები არ იყო დასრულებული და დაინტერესდა რატომ მოეწერა ხელი მიღება-ჩაბარებას?

ზ. ბუკია - გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ როცა ხობის N1 ბაღი ჩაიბარეს, მას ახლდა სამხარაულის ხარისხის დამადასტურებელი დასკვნა, ხოლო რაც შეეხება მცირე ტიპის დარღვევებს მასზე რეაგირება განხორციელდა და სამუშაოს შემსრულებელს დაეკისრა ჯარიმა.

დებატების დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა ანგარიშთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობამ წარმოადგინა 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-დეკემბრის თვის შესრულების ანგარიში, სადაც აღნიშნულია, რომ განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ საშემოსავლო ნაწილში 13861,7 ათასი ლარი, ხოლო საგასავლო ნაწილში 14633,4 ათასი ლარი შეადგინა. 2016 წლის ბიუჯეტის 12 თვის შედეგებით შემოსულობების გეგმა შესრულებულია 108,4 %-ით, აქედან საგადასახადო შემოსავლები გეგმიური 7172,7 ათასი ლარიდან შემოსულია 7889,4 ათასი ლარი (109,9%), გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან გეგმიური 6092,5 ათასი ლარიდან მიღებულია 6079,5 ათასი ლარი (99,7%). სხვა შემოსავლები წლიური გეგმით გათვალისწინებული 524,6 ათასი ლარიდან შემოსულია 636,4 ათასი ლარი (121,3%). შემოსულობები არაფინანსური აქტივების კლებიდან გათვალისწინებული 71,9 ათასი ლარიდან შემოსულია 422,2 ათასი ლარი (587,2%). ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი იანვარ-დეკემბრის თვის შესრულების მიხედვით ათვისებულია 91,6% (გეგმა 14633,4 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 13404,2ათასი ლარი). გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ განხილულ იქნა ბიუჯეტის 12 თვის შესრულების ანგარიში და შესრულების შედეგებს აფასებს როგორც დამაკმაყოფილებელი.

კენჭი ეყარა წარმოდგენილი ანგარიშის შეფასებას

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

არადამაკმაყოფილებელი – 0

დამაკმაყოფილებელი – 24

დადებითი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, მ. ყურუა, დ. გულუა, ფ. შონია)

დაადგინეს: წარმოდგენილი ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ლ. ცატავა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების

სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ“ და კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ“, რომლის შესაბამისადაც შემუშავდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმისა და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის ნიმუშები. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და მიზანშეწონილად მიაჩნიათ მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, მ. ყურუა,დ. გულუა, ბ. ქირია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N4 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია განსაზღვროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი, არაუგვიანეს მიმდინარე წლის თებერვლისა, კანონის ამ მოთხოვნის შესაბამისად მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მომზადდა წარმოდგენილი პროექტი, რომლის თანახმად არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი იგივე რჩება, რაც 2016 წელს იყო განსაზღვრული და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი ქალაქ ხობის ტერიტორიაზე შეადგენს 12.38 ლარს, სოფლებში - 3.71 ლარს, დასახლებათა შორის არეალებში - 3.1 ლარს, ხოლო დასახლებათა შორის არეალებში გამავალი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) - 6.19 ლარს, ხოლო ძალადაკარგულად ცხადდება „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 თებერვლის N10 დადგენილება. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა დასამტკიცებლად, მცირე კორექტირების შემდეგ, კერძოდ დადგენილების მე-5 პუნქტში მითითებულია „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 27 მაისის N287 ბრძანებულება, რომელიც ძალადაკარგულია და უნდა მიეთითოს „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, მ. ყურუა,დ. გულუა, კ. ლატარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N5 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ა. მიქავა - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხობის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის უფროსი - განაცხადა, რომ გასაიჯარებელ ჭალადიდის ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლის მე-2 სართულზე ასევე განთავსებულია სოფლის ამბულატორია, მათთვის დამატებითი ფართის საჭიროების შემთხვევაში ხომ არ შეიქმნება პრობლემა, რადგან მიმდებარე ფართები გაიჯარებული იქნება.

ა. ვარდია - გამომსვლელმა განმარტა, რომ სოფლის ამბულატორია ისედაც დროებით იყო აღნიშნულ შენობაში განთავსებული, რადგანაც, როგორც კი ამბულატორიის შენობას რეაბილიტაცია ჩაუტარდება, ისინი დაუბრუნდებიან მათ საკუთრებაში არსებულ შენობას..

ა. მიქავა - განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტს არა აქვს ამბულატორიის საკუთრებაში არსებული შენობის რეაბილიტაციის უფლება, რადგანაც მუნიციპალიტეტის ბალანსზე არ იმყოფება აღნიშნული შენობა. გამომდინარე აქედან, დროებით შეხიზნული თანამშრომლები, გარკვეული პერიოდი ძველ შენობას ვერ დაუბრუნდებიან.

გ. ქაჯაია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ სოფელს აუცილებლად სჭირდება გარემონტებული ამბულატორია, მაგრამ მუნიციპალიტეტი ვერ ახორციელებს აღნიშნული შენობის რეაბილიტაციას, გამომდინარე იქიდან, რომ ძველი საავადმყოფოს შენობა არ ირიცხება მუნიციპალიტეტის ბალანსზე. აქვს ინფორმაცია, რომ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ უნდა განხორციელდეს აღნიშნული შენობის რეაბილიტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის განმარტებით, გამგეობაში შემოვიდა ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოქალაქე განცხადებით, სადაც ის ითხოვს ხობის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, ჭალადიდის ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლის შენობაში მე-2 სართულზე არსებული ფართის სარგებლობის უფლებით, იჯარის წესით გადაცემას. გამგეობის შესაბამისი სამსახურის მიერ განხილულ იქნა აღნიშნული განცხადება და მიზანშეწონილად ჩაითვალა მოთხოვნილი ფართის გაიჯარება აუქციონის წესით. ფართის გაიჯარების შემთხვევაში ადგილობრივ ბიუჯეტში ყოველწლიურად შემოვა 721 ლარი, ყოველთვიურად კი 60 ლარი ბიჯის დამატების გარეშე. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, მ. ყურუა,დ. გულუა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N7 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის განმარტებით, როგორც საკრებულოში, ასევე გამგეობაში შემოვიდა წერილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროდან, სადაც ითხოვენ სამინისტროს მიერ 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „აფხაზეთიდან იგპ ხობის პოლიკნიკისთვის“ სარგებლობის უფლებით უზუფრუქტის წესით 100 კვმ ფართის გადაცემას. გამგეობის შესაბამისი სამსახურის მიერ შესწავლილ იქნა აღნიშნული საკითხი და მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის შესაბამისად შპს „აფხაზეთიდან იგპ ხობის პოლიკნიკას“ გადაეცეს ქ. ხობში სტალინის ქ. N6-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე არსებული თავისუფალი ფართი 100 კვმ-ის ოდენობით, უზუფრუქტის წესით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, მ. ყურუა,დ. გულუა, მ. ნადარაია, მ. ქარდავა, ი. ნადარაია, ე. წურწუმია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N8 ოქმს თან ერთვის)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 მარტის N19 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური
განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 მარტის N19 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის განმარტებით ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 მარტის N19 განკარგულებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება სარგებლობის უფლებით გადაცემული ჰქონდა შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა პოლიკლინიკას“, აღნიშნული ქონება საჭიროებდა კაპიტალურ რემონტს, რისი ფინანსური შესაძლებლობა შპს-ს არ აღმოაჩნდა, რის გამოც პოლიკლინიკას ფაქტიურად არ უსარგებლია ამ ფართით. ამ ეტაპზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წინადადების საფუძველზე შპს-ს უზუფრუქტის წესით გადაეცემა ქ. ხობში სტალინის ქ. N6-ში მდებარე შენობის მე-2 სართულზე არსებული თავისუფალი ფართი, რის გამოც გამგეობის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 მარტის N19 განკარგულებაში ცვლილების პროექტი, რის საფუძველზეც განკარგულებიდან ამოღებულ იქნება შპს-თვის ფართის გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილება. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, მ. ყურუა,დ. გულუა, მ. ნადარაია, მ. ქარდავა, ი. ნადარაია, კ. მიქაბერიძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N9 ოქმს თან ერთვის)

7. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ქალაქ ხობში სასმელი წყლის მიწოდების პრობლემებთან დაკავშირებით სასაუბროდ მოწვეულ იქნა საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის - ხობის სერვის ცენტრის უფროსი ბატონი შალვა კაკაბაძე.

აზრი გამოთქვეს: დ. გაბუნია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ წყლის გრაფიკი დილის 8^{00}-დან ღამის 22^{00} სთ-მდე, როგორც მისთვის, ასევე ძირითადად ქალაქში მცხოვრებ ყველა მოსამსახურე ქალბატონისთვის მიუღებელია, 7 სთ-ზე, სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ ოჯახში საქმიანობას ვერც ერთი ქალი ვერ ასწრებს, წყალი 10-ზე უკვე ითიშება და შემოვიდა წინადადებით, რომ წყლის გრაფიკი შეიცვალოს დილის 7^{00}- სთ-დან ღამის 24^{00} სთ-მდე, ხოლო რაც შეეხება სასმელი წყლის ხარისხს, ყურადღება უნდა მიექცეს ამ საკითხსაც, რადგან წყალს აქვს სპეციფიკური სუნი და ნალექი.

ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მისი აზრით, ყინვების პერიოდში წყალი საერთოდ არ უნდა გათიშულიყო, მოსახლეობას გათიშვების შედეგად პრობლემები შეექმნა და მატერიალური ზარალიც მიადგა, მილები თითქმის სრულიად დასკდა. ქალაქში არის ისეთი ქუჩებიც, სადაც წყალი საერთოდ არ მიეწოდება მოსახლეობას.

ფ. შონია - გამომსვლელმა აღნიშნა, რომ ქალაქში იყო ქუჩები სადაც გზები გადათხრილ იქნა სასმელი წყლის მილების ჩასადებად და მილები არ იქნა ჩალაგებული და უპატრონოდაა მიტოვებული.

ე. ჯობავა - გამომსვლელმა მიმართა წყალმომარაგების ხობის სერვის - ცენტრის უფროსს შ. კაკაბაძეს და განაცხადა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან თუ რაიმე სახის ჩართულობა იყო საჭირო, გვერდით დაუდგებოდნენ, რადგანაც მათ უკან მოსახლეობის ინტერესები იდგა და მათი პრობლემები დროულად მოგვარებულიყო.

შ. კაკაბაძე - გაერთიანებული წყალმომარაგების ხობის სერვის-ცენტრის უფროსმა განაცხადა, რომ რაც შეეხებოდა წინადადებას წყლის გრაფიკის გახანგრძილებასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ გრაფიკის შეცვლა ადგილობრივი სამსახურის კომპეტენციას აღემატებოდა,

წარმოდგენილ წინადადებას მიაწვდიდა ზემდგომ ორგანოს და იმედი გამოთქვა, რომ საკითხი დადებითად იქნებოდა გადაწყვეტილი. რაც შეეხება სასმელი წყლის ხარისხს, აღნიშნა, რომ სამსახურის სპეციალური ჯგუფის მიერ სხვადასხვა ადგილიდან ყოველ დღე ხორციელდებოდა წყლის აღება და ქიმიური ანალიზის გაკეთება ლაბორატორიაში და თუ მართლა არსებობდა ასეთი ადგილი შეეძლოთ სხდომის დამთავრების შემდგომ ადგილზე გაეგზავნათ ლაბორანტი ანალიზის გასაკეთებლად. ხოლო, რაც შეეხება წინადადებას ყინვების დროს 24 საათიანი გრაფიკის ჩართვასთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ, რაც არ უნდა უწყვეტად მიეწოდებინათ წყალი, მოსახლეობას იგივე პრობლემები მაინც შეექმნებოდათ, წლის მილების და ონკანების დაზიანებასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარე ასევე შეეხო ქალაქში დაუსუფთავებასთან დაკავშირებულ პრობლემებს და აღნიშნა, რომ ქალაქში ნამდვილად არის პრობლემები დასუფთავებასთან დაკავშირებით, რაზეც მოსახლეობა ძალიან არის შეწუხებულია. ახალი ურნები ისე უნდა იქნეს გადანაწილებული, რომ მთელი ქალაქი მოიცვას. ასევე აღნიშნა, რომ ბაზრის ტერიტორიასთან განთავსებული ნაგვის ურნები უნდა იქნეს გადატანილი სხვაგან, რადგანაც ზოგჯერ ნაგვის გატანა გვიანდება და სრული ანტისანიტარიაა ქალაქის ცენტრში.

გ. თათარიშვილი - შპს „ხობი დასუფთავება და განათების“ დირექტორმა განაცხადა, რომ ბაზრის წინ განთავსებული ნაგვის ურნები უნდა გადაეტანათ „თიბისი“ ბანკის შენობის უკანა მხარეს, მაგრამ მოვაჭრეების პროტესტიდან გამომდინარე ურნები დარჩა ადგილზე. ამჟამად განთავსებულ ურნებთან დაკავშირებით პრობლემები იმიტომ არის, რომ თავსახურები აქვს გაფუჭებული, უახლოეს პერიოდში ჩამოდის ახალი ურნები და პრობლემაც მოგვარდება. გამომსვლელმა ასევე განაცხადა, რომ საკრებულოს მხრიდან მიღებული დავალება 2 კაცის გამოყოფის და ქალაქში განთავსებული ნაგვის ურნების მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგების თაობაზე შესრულებულია. გამოიყო ორი პიროვნება და სპეცფორმებში მთელი დღის განმავლობაში ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა ქალაქის დასუფთავება და ქალაქიდან ნაგვის გატანა განხორციელებულიყო დილით, რადგანაც, ღამე ნაგვის გატანის შემდგომ ისევ გვიან ღამით მოსახლეობის მიერ ისევ იყრება ნაგავი და შემდგომ ძაღლების და ძროხების მიერ ხდება ნაგვის მიმოფანტვა და დილით ქალაქი ისევ დაუსუფთავებულია.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საკრებულოს წევრებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით მოწვეული ჰყავდათ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხობის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის წარმომადგენლები

და სთხოვა სამსახურის უფროსს (ა. მიქავა) წარმოედგინა ინფორმაცია მუნიციპალიტეტში განხორციელებულ პროექტებთან დაკავშირებით.

ა. მიქავა - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხობის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ საქართველოში ხორციელდება არაერთი სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი. ბოლო 3 წელიწადში განხორციელებულ პროექტებზე დაიხარჯა 20 მილიონამდე, ეს მიუთითებს იმაზე, რომ წარმატებით ხორციელდება სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პროექტები. გამომსვლელმა დასასრულს განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის პროექტებთან დაკავშირებით დეტალურ ინფორმაციას წარმოადგენს სამსახურის მთავარი სპეციალისტი დავით ღადუა.

დ. ღადუა - გამომსვლელმა ვრცლად ისაუბრა მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროექტებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ხორციელდება სხვადასხვა სახის პროექტები, კერძოდ; 1) შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი, მისი მიზანია ფერმერებისა და სოფლის მეურნეობაში ჩართული მეწარმეების იაფი, გრძელვადიანი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უსრუნველყოფის გზით, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის პროცესების გაუმჯობესება; 2) აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა, რომლის მიზანია, პირველადი წარმოების პროდუქტის ხარისხისა და მოსავლიანობის ზრდის ხელშეწყობა; არსებული ბაღების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების ხელშეწყობა; მოქმედი გადამამუშავებელი და შემნახველი აგროსაწარმოების გაფართოებისა და მოდერნიზაციის ხელშეწყობა; საერთაშორისო სტანდარტების და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა; 3) სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება, რომლის მიზანია, საქართველოს ყველა რაიონში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების შექმნა; საწარმოების გეოგრაფიული დივერსიფიკაცია; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის წინაპირობების გაუმჯობესება; სანედლეულო ბაზის განვითარება; სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდა; ფერმერებისათვის მიღებული მოსავლის დასაწყობების ხელშეწყობისთვის დამატებითი ინფრასტრუქტურის შექმნა; შემნახველი საწარმოებისთვის სერვისის მიმწოდებლად ჩამოყალიბების ხელშეწყობა: შემნახველი ინფრასტრუქტურის სტანდარტიზაციის ხელშეწყობა; 4) დანერგე მომავალი, რომლის მიზანია საქართველოში არსებული სასოფლო სამეურნეო მიწების გამოყენების ეფექტურობის ამაღლება: სასოფლო სამეურნეო პროდუქციის იმპორტჩანაცვლების ხელშეწყობა და საექსპერტო პოტენციალის გაზრდა; სანერგე მეურნეობის შექმნისა და მრავალწლიანი ბაღების გაშენების სტიმულირება ფინანსური და ტექნიკური დახმარების საშუალებით; 5) პროექტი აწარმოე საქართველოში,

რომლის მიზანია მეწარმე-სუბიექტების მხარდაჭერის, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოების გაფართოების ან გადაიარაღების გზით საქართველოში მეწარმეობის განვითარება. ამავდროულად, პროგრამა ქვეყნის მასშტაბით სამეწარმეო კულტურის დანერგვას ემსახურება და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებისა და ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდისკენაა მიმართული. აღნიშნული პროექტებიდან მუნიციპალიტეტში განხორციელდა; (შეღავათიანი აგრო კრედიტი, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი, პროექტი აწარმოე საქართველოში, მიკრო და მცირე მეწარმეების ხელშეწყობის პროექტი, პროექტი დანერგე მომავალი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, მრპ-ს ხელოვნური განაყოფირების პუნქტი და ა.შ. (ვრცლად ინფორმაცია ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებს მოწოდებული ინფორმაციისთვის და წარმატებები უსურვა მათ საქმიანობაში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მესამე მოწვევის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ტარიელ ალექსანდრია
5. დოდო გაბუნია
6. ლაშა ცატავა
7. თენგიზ აბაკელია
8. ლევან ქავთარაძე
9. თემურ გულუა
10. როსტევან გვარამია
11. მალხაზ ლაგვილავა
12. ედიშერ წურწუმია
13. ირაკლი ნადარაია
14. დიანა გულუა
15. ლეონიდე ლოლუა
16. მერაბ ფილიპია
17. ბეჟან ქირია
18. მელორ გელანტია
19. იგორ გოგოლაძე
20. მზია ლემონჯარია
21. შადიმან ჭილაია
22. ფრიდონ შონია
23. კახა ლატარია
24. მალხაზ ყურუა
25. კობა კაკულია
26. კახა მიქაბერიძე
27. გენადი ქაძანაია
28. მერაბ ნადარაია